838/2 (5) I-VI


# თავისუფალი საქართველო

№1

24 - 30 იანვარი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეს სამყარო სრულიად განსხვავდება ყველაფრისგან, რაც აქამდე მინახავს. ბუნების მშვენიერება ამ ზღაპრულ მხარეში ამაღლებს ადამიანს. ისიც კი, ვინც აქ ცხოვრობს და ბავშვობიდან ყოველწამიერ აკვირდება ბუნების სიდიადეს, იოლად ვერ ეჩვევა ამ ბრწყინვალებას. აქაურმა ხალხმა გაუძლო ბუნების ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილს, ოდესღაც განადგურებით რომ ემუქრებოდა და დღეს - გამარჯვებული, ძლიერი, ლამაზი - 10 მილიონ ადამიანს ითვლის.

კავკასიელს არ აინტერესებს ნიუ-იორკის ბირჟის არანაირი კურსის არც დაცემა, არც მაღლა ავარდნა. მისი ცხოვრება არ ჰგავს გიჟურ სრბოლას იპოდრომის შეკრლ წრეში. ის მშვიდად ცხოვრობს. ცხვრის ხორცით ან ტკბილი ხილით იკვებება. ნეტავ ევროპელები ან იანკები სჯობიან კავკასიელებს? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ღმერთმა იცის. რამდენი რამ ჩანს დიდი მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მცირეთა გარემოცვაშია მოქცეული. საუკუნეც დამცრობილია. ფასეულობები ცვლადი სიდიდეა. ცხოვრება შლის დროებით ღირებულებებს, სხვა ფასეულობებზე ახურდავებს, პირწმინდად აქრობს.

აქ კი ისე ახლოს ხარ ღმერთთან...

**კნუტ ჰამსუნი, «ზღაპრული სამყარო»**

KONSTANTIN GAMSACHURDIA

SWIAD GAMSACHURDIA

*Dissident – Präsident – Märtyrer*



PERSEUS VERLAG BASEL

"რა შობს მოყვასისთვის თავგანწირვას? სიყვარული ყოვლისმომცველი, უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი.

რა შობს თავისუფლებას? იგივე სიყვარული, ოღონდ სიყვარული უზენაესი ჭეშმარიტებისადმი."

**ზვიად გამსახურდია**

შვეიცარიაში გამოიცა წიგნი " ზვიად გამსახურდია დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე" .

წიგნის ავტორია კონსტანტინე გამსახურდია.

წინათქმა ეკუთვნის შვეიცარიელ სწავლულსა და გამომცემელს ჰაინერ აპენცელერს.

ზვიად გამსახურდიას ცხოვრება და მოღვაწეობა განხილულია საერთო- კავკასიურ კონტექსტში. წიგნში მოთხრობილია იმ ტოტალური უსამართლობის ისტორია, რომლის მოწმეც გახდა კავკასია ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე და რომელსაც ასეთი თავგანწირვით ებრძოდა საქართველოს პრეზიდენტი.

# ჩეჩნეთი: ტერორიზმი თუ ბრძოლა თავისუფლებისთვის

ჩვენ კავკასიური მოდგმა ვართ. თვითმყოფადი და უნიკალური - საერთო ცნობიერების სხვადასხვა ხალხები, გაერთიანებულნი ღირსების ერთიანი კოდექსით. ეს იმდენად მარტივი ჭეშმარიტებაა, თითქოსდა ზედმეტიც კია, მისი კიდევ ერთხელ გამეორება, მაგრამ როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, დროში, როცა მსოფლიოს ინტეგრაციული პროცესების პარალელურად აშკარად თვალშისაცემია კავკასიელ ხალხთა შორის უთანხმოების, შუღლის, მტრობის და გათიშვის, ანუ დეზინტეგრაციული ტენდენციების ყოველმხრივ წახალისება და გაღვივება, ეს საჭიროცაა და აუცილებელიც.

განსაზღვრული მიზნებით, ხდება ისეთი ტერმინებით მანიპულირება, როგორიც არის: ჩრდილო კავკასია და ამიერკავკასია, ქრისტიანი და მაჰმადიანი, ევროპული და აზიური ორიენტაცია. შემთხვევითი არ არის, რომ თვით მეცნიერებაშიც კი წინ წამოიწევა ის ტენდენციები, რომლებიც აკნინებს კავკასიური სამყაროს ბუნებრივი მთლიანობის იდეას და ჩვენი ენობრივი თუ ეთნიკური წარმოშობის საწყისებს ინდო-ევროპულ სიშორეებში ეძიებს.

არადა, ჩვენ, კავკასიელ ხალხებს, უბრალოდ გეოგრაფიული მეზობლობა არ გვაკავშირებს ერთმანეთთან. ჩვენ ვართ ძმები, ოღონდ ისეთი კი არა, როცა "თათარიც ჩვენი ძმა არის". ჩვენს შორის სისხლისმიერი, გენეტიკური ნათესაობა არსებობს. ამიტომ, ჭეშმარიტი კავკასიური ცნობიერების ხალხს ლხინიც საერთო გვაქვს და უბედურებაც, წარმატებებიც და მარცხიც. ცალ-ცალკე ჩვენი გამარჯვება, გამარჯვება არ იქნება. სწორედ ეს იყო ყოველთვის და მომავალშიც ეს იქნება კავკასიის ყველა დიდი შვილის მოღვაწეობის საფუძველი.

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში კავკასიის სხვა ხალხების ეროვნულ მოღვაწეთა აქტიური თანადგომა და მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ყველასთვის და მათ შორის ჩვენ მტრებისთვისაც დღესავით ნათლად ჩანდა, რომ ზვიად გამსახურდია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი და წინამძღოლი არ იყო. იგი მთელი კავკასიის თავისუფლებისთვის იბრძოდა და ამიტომაც გახდა კავკასიელ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი.

ის, რაც დღეს ჩეჩნეთში ხდება, არაა მხოლოდ ჩეჩნების და მით უმეტეს, ჩეჩნეთ-რუსეთის პრობლემა. ჩეჩნების ბრძოლა არის გაგრძელება ჩვენი ბრძოლისა თავისუფლებისთვის; სხვა ხერხებით, სხვა პირობებში და სხვა თავგანწირვით, მაგრამ იგივე ბრძოლის სხვა ეტაპი ერთი უცვლელი მიზნის მისაღწევად საბოლოო გაჭარჯვებამდე.

ის, რაც ჩეჩნეთში ხდება, ლეგენდებში თუ წაუკითხავს კაცობრიობას. ამ პრაგმატულ, კომპუტერიზებულ და ყოველმხრივ გაზომილ-აწონილი მე-20 საუკუნის ბოლოს ჩვენ მოწმენი ვართ მცირერიცხოვანი, მაგრამ გმირი ხალხის თავგანწირული, ყველა საზომით უთანასწორო ბრძოლისა საზარელ ურჩხულთან. ამ ჭიდილის კონკრეტული გამოვლინება ხშირად რეალობის აღქმის ფარგლებს სცილდება. აქ მიმდინარე მოვლენათა ემოციური ზემოქმედების ძალა იმდენად დიდია, რომ ზოგში აღტაცებას იწვევს, ზოგში გაოცებას, ზოგში საკუთარი არასრულფასოვნების განცდას და ზოგშიც შურის გრძნობას ბადებს.

ჩვენთვის კი პირველ რიგში ეს არის მოძმეთა, და ამდენად, ჩვენივე ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამიტომ თითოეული ჩვენგანი საკუთარი შთამომავლობის წინაშე მოვალეა გააცნობიეროს ის რეალური მნიშვნელობა, რომელიც, ჩვენი საშობლოს მომავლის გათვალისწინებით, ენიჭება ჩეჩენი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისთვის.

ამქვეყნად არსებობს ფასეულობები, რომლის წინაშეც ყველა უხეში ძალა უძლური ხდება. ამიტომაც მიმდინარეობს ასეთ გაფორმებული ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ძველთაგანვე ნაცადი ხერხია ამ ფასეულობათა გაყალბება, დაკნინება, შეცვლა. ასე ხდება საშობლოს სიყვარულის აგრესიულ ნაციონალიზმთან გაიგივება, სიკეთის და პატიოსნებისა - უუნარობასთან, კაცთმოყვარეობისა - სიმხდალესთან, ვაკაცობისა კი - ტერორიზმთან.

რუსეთის, და არამარტო რუსეთის, პროპაგანდისტული მანქანა დაუინებით ნერგავს მითს ზოგადად კავკასიური და კერძოდ ჩეჩნური ტერორიზმის შესახებ. სიტყვა "terror" ლათინური წარმოშობისაა და შიშს, ძრწოლას ნიშნავს. ჩეჩენი მებრძოლების მიერ მძევალთა აყვანის ყველა ეპიზოდში, იქნებოდა ეს ბუდიონოვსკი, ყიზლარი, თუ პერვომაისკოე, უკლებლივ ყველა ტყვე ცალსახად აღნიშნავდა "ტერორისტთა" კეთილ, ადამიანურ დამოკიდებულებას მძევალთა მიმართ. მეტიც, რუსეთის დუმის დეპუტატებიდან დაწყებული და უბრალო ჟურნალისტებით დამთავრებული, ადამიანები ლამის ერთმანეთს ასწრებდნენ მოხალისე მძევალთა რიგებში მოხვედრას. თუკი ვინმესგან იყო მოსალოდნელი ხიფათი, თუკი ვინმეს შიში ჰქონდათ მძევლებს, ეს იყო რუსეთის სამთავრობო ჯარები. ის ჯარიკაცებად წოდებული პირუტყვები, რომელთათვის ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასად არ ღირს. სწორედ რუსეთის არმია გვევლინება ტერორისტულ ორგანიზაციად და არა კავკასიელი მებრძოლები, რომლებიც უკიდურესი თავგანწირვის პირობებშიც კი მყარად იცავენ ღირსებისა და ეკეკაცობის უმკაცრეს კანონებს.

რა თქმა უნდა, რუსების სისასტიკე და ულმობლობა არც რიგითი ჯარისკაცებისა და არც მათი მეთაურების პიროვნული თვისებაა მხოლოდ, ეს არის ზოგადად რუსეთის და მისი მარიონეტული ქვეყნების სახელმწიფოებრივი პოლიტიკის არსი. იმ ტერორისტული პოლიტიკისა, რომელიც სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური მეთოდებით მოსახლეობის დაშინებას, დაბეჩავებას, დათრგუნვას გულისხმობს. ამიტომაცაა ასე ტყუპისცალივით რომ ჰგავს ერთმანეთს რუსეთისა და დსთ-ს დანარჩენი ქვეყნების რეაქცია ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით.

ჩვენ კავკასიური მოდგმის ხალხი ვართ. დღეს ჩეჩნეთში კავკასია იბრძვის და იბრძვის იმ სანუკვარი მიზნისთვის, რაც ამ მხარეში ყოველთვის სიცოცხლეზე მეტად ფასობდა - თავისუფლებისთის.

**თ რეხვიაშვილი**

# ინტეგრაციის საზეიმო მარში რუსეთის სამგლოვიარო მესსის ფონზე

18-19 იანვარს მოსკოვში ჩატარებული დსთ-ს ქვეყნების პირველი პირების შეხვედრაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გაფორმდა მთელი წინა პერიოდის განმავლობაში ერთობლივი კომისიებისა და უწყებების დონეზე მომზადებული დოკუმენტები, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა ინტეგრაციის პროცესების დაჩქარება და პოსტსაბჭოური ალიანსის შემდგომი განმტკიცება. დსთ-ს სივრცეზე ერთიანი საკანონმდებლო ბაზისა და საერთო სტრუქტურების შექმნა, რა ხანია, შარდი ტემპებით მიმდინარეობს. უკანასკნელ შეხვედრაზე კი, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ერთიანი პოსტსაბჭოური მთავრობა ე.წ. შინაგან საქმეთა საბჭოს სახით. გახდება თუ არა იგი რეალური აღმასრულებელი ორგანო, ამას დრო გამოაჩენს. მაგრამ მიმდინარე მოვლენები და. საერთო ტენდენცია გვიჩვენებს, რომ სსრკ-ს ახალი მოდელი ფორმირების საბოლოო ეტაპზეა.

ამ პროცესის გააქტიურებას მოცემულ პირობებში შესაბამისი ფონიც ექმნება, რომლითაც საბჭოთა რესპუბლიკების სათავეში დაბრუნებული კომუნისტი ლიდერები ცდილობენ შენიღბონ ინტეგრაციის იმპერიული შინაარსი და საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს ერთიანი სტრუქტურების ჩამოყალიბება თავად დსთ-ს შემადგენელი ქვეყნების ინტერესებში შედის. ერთ-ერთი ასეთი ფორმალური საბაბია სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერება, რომელიც, საქართველოს შემთხვევაში, შევარდნაძის მთავარი კოზირი გახდება და რომლის მეშვეობითაც სურთ საქართველო საბოლოოდ დაფიქსირდეს როგორც რუსეთის ბერკეტი სამხრეთში.

რუსეთისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრას ორივე ქვეყნის ოფიციალური პროპაგანდა უკავშირებს ჩეჩნეთისა და აფხაზეთ-შიდა ქართლის პრობლემებს, რომლებიც სინამდვილეში სრულიად არაერთგვაროვანია. ამ პრობლემების ერთმანეთთან დაკავშირება არა მხოლოდ ხელოვნურ ხასიათს ატარებს, არამედ დანაშაულებრივ იდეოლოგიზეა დაფუძნებული და საქართველოსთვის მომავალში, შესაძლოა, დამღუპველი შედეგი გამოიღოს.

უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ჩეჩნეთის მიმართ რუსეთის სრულიად გაცხადებულ, იმპერიულ ინტერესებთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მიბმა, რუსეთის მიერვე პროვოცირებულ აფხაზურ სეპარატიზმს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის [illegible] ანიჭებს. მეორე მხრივ კი, რაიდ[illegible] [illegible]ზარიოც არ უნდა იყოს, ისევ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების [illegible]ეხებით, აფხაზეთის ტრაგედია [illegible]ოდესაც იმ ეფექტს, რომელსაც ჩეჩნია თავგანწირული და შედეგიანი ბრძოლა ახდენს მსოფლიო საზოგადოებაზე.

ჩეჩნეთისადმი მსოფლიოს ინტერესი არათუ არ ცხრება, არამედ მატულობს უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ შემართებითა და გონივრულად წარმართულმა სამხედრო წინააღმდეგობამ გამოავლინა და კვლავაც ავლენს რუსეთის ადმინისტრაციული და სამხედრო სისტემის ყველა სუსტ ადგილს ყველა დონეზე; მთელი კაცობრიობის წინაშე ახდენს იმპერიული მანქანის თანამიმდევრული დამარცხების მექანიზმის დემონსტრირებას. ჩეჩნეთმა რუსეთს მოუგო ბრძოლა ყველა ეტაპზე, ყველა სახეობის იარაღით და ყველა სივრცეში: პოლიტიკურადაც და სამხედრო ძალითაც, ხმელეთზეც და ზღვაზეც კი, რომელსაც ათასობით კილომეტრი აშორებს; თუკი ბუდიონოვსკის შემთხვევამ წარმოაჩინა შედარებით დამთმობი რუსეთის მარცხი, ყიზლარმა - ფეხქვშ გაიდო ძალისმიერი რუსეთი; საომარი მოქმედებებისა და საერთო-სახალხო მასობრივი გამოსვლების ფონზე რუსული ჯარის მიერ არჩეული დოკუ ზავგაევის მთავრობა იმდენად სასაცილოდ გამოიყურება "ჩეჩენ ტერორისტთა", შთამბეჭდავი ფიგურების გვერდით, რომ, საფიქრალია, იგი მალე მოსკოვსაც აღარ დასჭირდება.

ამას გარდა, ჩეჩნეთის მოვლენები მძლავრ იმპულსს აძლევს რუსეთის სხვა დაპყრობილ ერებს: ყიზლარში რუსეთის სამხედროების სრულიად არაადეკვატურმა და უსუსურმა ქმედებებმა გაამძაფრა ანტირუსული განწყობილებები არა მხოლოდ დაღესტანში, არამედ ბაშკორტოსტანსა და თათარსტანში. ანტიტერორისტული პროპაგანდის მიუხედავად, რუსეთმა მაინც ვერ მიაღწია დასავლეთის სახელმწიფოებისგან მკაცრ რეაქციას. პირიქით, ყიზლარმა კვლავ შეაფერხა რუსეთის ევროსაბჭოში გაერთიანების საკითხის განხილვა, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოების ლიდერები შემოიფარგლნენ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ფორმულირებებით. ამასთან, მოუწოდებდნენ რუსეთს პრობლემის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისაკენ. მეტიც: თურქეთის სანაპირო ზოლში გვი "ავრასიას" დაპყრობა და რუსეთის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო გამოსვლები ანკარაში, სერიოზული გაფრთხილება იყო არა მხოლოდ რუსეთის, არამედ დასავლეთის მიმართაც.

ამ ფაქტების ერთობლიობა გვაფიქრებინებს, რომ ჩეჩნეთი რეალურად იქცევა რუსეთის დაშლის წინა პირობად და, შესაძლებელია, ეს უახლოეს მომავალში მოხდეს. ამგვარ ვითარებაში, ცხადია, რუსეთის შეკვრის ერთადერთი გზაა მის გარშემო არსებული ქვეყნების შემოკრება, ანუ საზღვრის გარშემო დამცავი ალყის შექმნა. დსთ-ს ინტეგრაციის დაჩქარებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

რა თქმა უნდა, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლებისთვის ეს კურსი

# რუსეთმა გამარჯვება ვერ იზეიმა

"ეჩქარობ და თავს ბედნიერად ვთვლი გაცნობოთ, რომ ეს ომი რუსეთის იარაღის დიდებით დაგვირგვინდა...

"აქამდე ეს ხალხები არავის დაუმორჩილებია. ჩვენ ჭკუა ვასწავლეთ კავკასიელ ველურებს..." - ქედმაღლურად უპატაკებდა რუსთ ხელმძღვანელს ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმის განადგურების შემდეგ ინფანტერიის გენერალი რტიშჩევი.

ეს იყო გასულ საუკუნეში... მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. უცვლელია მხოლოდ რუსი დამპყრობლის სახე. მის ნაკვალევზე ისევ აღარ ამოდის ბალახი, მას დღესაც ყველგან სისხლი, ცრემლი, სიკვდილი მოაქვს... მაგრამ ამქვეყნად ყველაფერსა აქვს დასასრული.

დღეს კავკასია ისევ ომობს. იღვრება სისხლი, ყოველი გოჯი მიწის, საკუთარი სახლ-კარის, ღირსების, სიცოცხლის, თავისუფლების დასაცავად ფეხზე დამდგარა მთელი ჩეჩნეთი - დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

მაგრამ დღეს სამყარო მართლაც სხვაგვარი კანონებით ცხოვრობს და სულ უფრო ცოტანი რჩებიან ადამიანები, რომელთაც სხვისი, თუნდაც მტრის, ვაჟკაცობით მოხიბვლის უნარი შესწევთ. ამგვარი რამ "წარსული ბნელ გადმონაშთად" ითვლება "ახლებურად მოაზროვნე დემოკრატთა წრეებში". არადა, ის, რაც დღეს ჩეჩნეთში ხდება, თაობებს გამოადგება ზნეობის, ვაჟკაცობის, კეთილშობილების გაკვეთილად.

* * *

ამ ბოლო დროს მთელი მსოფლიოს ყურადღება სოფელ პერვომაისკოესკენ იყო მიპყრობილი.

რუსეთის ფედერალური ჯარები ათი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ გაფორებულ ბრძოლას ჩეჩენთა წინააღმდეგ. რუსეთის ხელისუფლება მთელი მსოფლიოს გასაგ. ბრობას დებდა, რომ "აღარ დაუშვებდა ქვეყნის გადაცემას ტერორიზმის არენად."

ამ იაფფასიან პროპაგანდას აყოლილი და "ბდინარის დინებას მიდევნებული" მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები შეშფოთებას გამოთქვამდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის, უდანაშაულო მოქალაქეების ბედის გამო და შიგადაშიგ რუსეთის ხელისუფლებასაც ადანაშაულებდნენ არასწორი, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისთვის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

პერვომაისკოეში ბრძოლები უკვე დამთავრდა და რუსეთის "ძლევამოსილმა" არმიამ, როგორც იყო, დაიკავა დაცარიელებული სოფელი, ახლა მათ ერთადერთი სამუშაოდ აქვთ შესასრულებელი - ტერიტორიის განაღმვა და დახოცილთა დათვლა. სალმან რადუევის დაჯგუფებამ ათი დღის გმირული ბრძოლის შემდეგ შეძლო ალყის გარღვევა და ჩეჩნეთში დაბრუნება. პერვომაისკოეს მოვლენებმა, გარდა იმისა, რომ კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის არმიის სრული უუნარობა და უძლურება, საფუძვლიანად შეარყია ელცინის ხელისუფლება. აჩვენა, რომ ჩეჩნეთში ჩატარებული "არჩევნები" ოდნავადაც ვერ ცვლის სიტუაციას და ქვეყანაში ყველაფერს ისევ დუდაევი აკონტროლებს. და კიდევ ერთი, რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია - რუსეთმა კავკასიაში ახალი მოწინააღმდეგე შეიძინა დაღესტნის სახით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები დაეინებით იმეორებდნენ, რადუევის აქციამ დაღესტნის მოსახლეობაში ანტიჩეჩნური განწყობილებები გააღვივა, სიმართლის ბოლომდე დაფარვა მაინც ვერ მოახერხეს და ერთ საღამოს ყველამ იხილა პროგრამა "ვესტის" მიერ გადაცემული კადრები - დაღესტნელთა გრანდიოზული საპროტესტო გამოსვლები რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ რუსეთის ჯარების გაყვანას კავკასიიდან. ისევ გამართლდა ჯოჰარ დუდაევის სიტყვები: "თუ მოვლენები ბუნებრივი და სასურველია, მაგრამ მისი ოფიციალური გაფორმება მაინც აფხაზეთის საკითხის მოგვარების საბაბით სურს, თითქოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაა. ამგვარად, ხელოვნურად იქმნება კიდევ ერთი მითი, რომლის მსხვრევა ასეულ ათასობით ლტოლვილით გაჯერებულ, ბნელით მოცულ ქვეყანაში არცთუ ისე ადვილია.

ამიტომაც, მოსკოვის შეხვედრის მთავარ შედეგად ქართული მხარე მიიჩნევს მიღწეულ შეთანხმებას, რომლის თანახმად, განხრახულია აფხაზეთის ბლოკადაში მოქცევა და მის მმართველ რეჟიმზე ზეწოლა. კვლავ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რუსეთი მზადაა დაუთმოს საქართველოს აფხაზეთი მასთან მჭიდრო ინტეგრაციის სანაცვლოდ. ტრადიციულად, ამგვარი "შთაბეჭდილების" ტყვეობაში მყოფნი მწარე რეალობის მოწმენი ხდებოდნენ ხოლმე. მაგრამ ეს გამოცდილებაც რომ არ გვქონდეს, ელემენტარული ლოგიკა გვკარნახობს კითხვას: რატომ დათმობს რუსეთი იმას, რაც გარანტირებული აქვს როგორც სამართლებრივად, შევარდნაძის მრავალჯერადი ხელმოწერებით, ისე ფაქტობრივად, როცა ასე არ ეთმობა ის, რასაც რეალურად ვერც ფლობს და რასაც უსიამოვნების გარდა არაფერი მოაქვს მისთვის.

ფაქტობრივად კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ძლიერების გარანტიაა რუსეთის იმპერიასთან ბრძოლა, სწორედ ისეთი თავგანწირვით, როგორც ამას აკეთებს ჩეჩენი ხალხი, და ალიანსი არა იმპერიული ისტერიით დაავადებულ, მომაკვდავ მონსტრთან, არამედ შენს ბუნებრივ მოკავშირესთან - თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიასთან.

*რომანოზ საგინაშვილი*

**კავკასიელ ხალხებში ვერ იპოვით ვერც ერთს, ვინც თავის თავს რუსს ეძახოდეს. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის დაპყრობიდან ძალიან დიდი ხანი გავიდა, დღემდე არსებობენ გულუბრყვილო, მამაცი მთიელები, რომლებიც ამაყად აცხადებენ, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დართავენ რუსებს ნებას იყონ მათ ქვეყანაში, თუ ისინი წესიერად მოიქცევიან.**

**კნუტ ჰამსუნი, «ზღაპრული სამყარო»**

ოდითგანვე ასე იყო - გამარჯვებულებს არ ასამართლებდნენ. ჩვენ საინტერესო დროში ვცხოვრობთ - ახლა არც დამარცხებულებს სთხოვენ პასუხს. მეტიც - აწინაურებენ, პრეზიდენტად ირჩევენ. შესაძლოა, რუსეთის ხელისუფალთაც ეს იმედი აძლევნიებთ. თუმცა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმისთვის, ვისაც საკუთარი ღირსება, თავისი ქვეყნის თავისუფლება სიცოცხლეზე მაღლა დაუყენებია.

- ეს ბრძოლა შეიძლება 50 წელს გაგრძელდეს - ამბობს ჯოჰარ დუდაევი და უბრალო მოკვდავთათვის ამ არცთუ ისე მომხიბლავ პერსპექტივაზე ვაინახები ყაბულს არიან. ისინი არ იბრძვიან სწრაფი გამარჯვების და მერე განცხრომით ცხოვრების იმედით, მშვიდად ხვდებიან სიკვდილს და არ იღლებიან ამ სასტიკ, მომქანცველ ომში.

დღეს ბევრი თავს იმტკვრევს რუსეთის მარცხის გამომწვევი მიზეზების გარკვევით, ლაპარაკობენ ელცინის ხელისუფლების უსუსურობაზე, ადანაშაულებენ მას უუნარობაში, არაკომპეტენტურობაში და თითქმის არავინ ამბობს, რომ ეს იყო სრულიად კანონზომიერი, ბუნებრივი მარცხი. ვერ გაუგიათ, რატომ არ შეუძლია რუსეთის უზარმაზარ არმიას, ათასგვარ სპეცდანიშნულების ბატალიონს, ხალხის ხოცვაში გაწვრთნილ გენერლებს სამასკაციანი დაჯგუფების განადგურება, რატომ არის ეს ერთი მუჭა ხალხი ასე დიდი და რატომ არ შეიძლება მათი დამარცხება.

*ნ.წიკლაური*

# მთავარი ბრალდებული - ზვიად გამსახურდია

თებერვლის პირველ რიცხვებში დანიშნულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმის - №7495927 - სასამართლო განხილვა და მასზე ბრალდებულებად წარდგებიან ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა, სიმონ (სოსო) ჟღენტი, ზვიად ძიძიგური და ნუგზარ მოლოდინაშვილი, ანუ კანონიერი ხელისუფლების უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ორგანოების წარმომადგენლები. მაგრამ ეს მომავალი პროცესი ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ ამ ნიშნით. პირველ ყოვლისა, ეს იქნება სამსჯავრო განხილვა, რომელზედაც არსებული ხელისუფლება საბოლოოდ შეეცდება აიცილოს პასუხისმგებლობა აფხაზეთის დაკარგვისთვის. ეს ტენდენცია გამოიკვეთა უკვე ოთხოზორია-შურღაიას საქმის განხილვისას, ხოლო ამჟამად მიმდინარე ზაურ ქობალიას სასამართლოზე საბოლოოდ დადასტურდა, რომ ოფიციიოზის სცენარი მიმართულია არა იმდენად რომელიმე კონკრეტული პერსონის, არამედ თავად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეის, ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების და, რაც მთავარია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

ზვიად გამსახურდია მთავარი ბრალდებულია არა მხოლოდ ამ, არამედ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის ყველა საქმის, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია იმ დანაწევრებული სახით, როგორც ისინი განიხილებოდა სასამართლო სამსჯავრო ძიების დროს: ე.წ. "ყვარლის საქმე" №7492809, "კაკლაძის გამტაცებელთა საქმე", "ანძების ამფეთქებელთა საქმე" №83, ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების, ანუ დოკვაძე-გელბახიანის საქმე" №7493810. 1994 წლიდან დაიწყო ახალ კრიმინალურ გამოძიებათა სერიალი - იგორ თოლორდავას, კახა ქარდავას, გოჩა ოთხოზორიას, ვალტერ შურღაიას, ზაურ ქობალიას სასამართლო პროცესები.

ჯერ კიდევ 1992 წლის 4 იანვარს, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, პენსიაზე მყოფი კერძო პირის, თვითმარქვია გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძის მიერ აღძრული სს საქმეში №7492801 ზვიად გამსახურდია ფიგურირებს როგორც მთავარი და პირველი დამნაშავე. ნიშანდობლივია, რომ ამგვარად მიჩნეულია მისი მოღვაწეობა არა მხოლოდ პუტჩის შემდგომ პერიოდში, არამედ მთელი 1991 წლის მანძილზე, ანუ მაშინ, როდესაც იგი რეალურად მართავდა ქვეყანას. შეიძლება ითქვას, რომ, საბჭოთა იურისპრუდენციის საუკეთესო ტრადიციებისამებრ, პროკურატურა და სუკ-ი ერთი წამითაც არ ტოვებდა ცნობილ დისიდენტსა და ეროვნულ მოღვაწეს ყურადღების გარეშე. საქართველოს პრეზიდენტად არჩეული ზვიად გამსახურდია კვლავ აღრიცხვაზე იმყოფებოდა და საიდუმლო არქივებში დაცულ მის საქმეს ემატებოდა "დანაშაულობათა" აღმნუსხველი დოკუმენტაცია.

მაშ ასე, თებერვალში იწყება კიდევ ერთი და იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რომელსაც მთავარი ბრალდებული არ ესწრება. მის მაგივრად მისი და მისი საქმის დაცვა მოუწევთ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს. თავად ეს ფაქტი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მხოლოდ მათ, განსასჯელის სკამზე მსხდომ ბრალდებულებს, არამედ მათ ადვოკატებს, ნათესავებსა და დარბაზში მსხდომ მხარდამჭერებსაც კი. ეს პასუხისმგებლობა დიდი პატივია და დიდი ტვირთი, რომელიც ღირსეულად უნდა ზიდოს ჩვენმა საზოგადოებამ.

# უშიშროების სამსახური მწვანე შუქს აძლევს კიტოვანს და შემდეგ აპატიმრებს

დეკემბრის ბოლოს თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლომ საქალაქო სასამართლოს შენობაში დაიწყო ე.წ. ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ლიდერთა - თენგიზ კიტოვანისა და ირაკლი სურგულაძის და რუსეთის მოქალაქის, ვალერი ფისუნის საქმის სამსჯავრო განხილვა. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეა მოსამართლე სოსო ხურციძე, ბრალმდებელი - კახა კობერიძე, საზოგადოებისთვის ცნობილი "ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების საქმის" განხილვიდან.

როგორც ცნობილია, ხსენებულ პირებს ბრალად ედებათ უკანონო ფორმირების შექმნა და იარაღის უკანონოდ ტარება, რასაც, ბუნებრივია, ბრალდებულები უარყოფენ. 18 იანვრის სხდომაზე ირაკლი სურგულაძის მიერ წაკითხული ერთობლივი განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბრალდებულები არ თვლიან თავს არსებული ხელისუფლების ოპოზიციად, პირიქით, თავიანთ ქმედებებს მიიჩნევენ არა მხოლოდ კანონიერად, არამედ ხელისუფლების პოლიტიკური კურსისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ინტერესების შესატყვისად. განცხადებაში მთელი პასუხისმგებლობა მათი დაკავებისა და მათ მიმართ დაშვებული კანონდარღვევებისთვის დაკისრებული აქვს იგორ გიორგაძეს, რომელსაც, თურმე, წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული 1995 წლის 13 იანვარს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მიერ დაწყებული აქციის კანონგარეშედ გამოცხადება. ფრონტის ლიდერთა თქმით, ამაზე მეტყველების ისიც, რომ აქციის წინადღეს მას მწვანე შუქი მისცეს შსს მინისტრის მოადგილეებმა ჯიმი მიქელაძემ და დმურ მიქაძემ, სუს-ის უფროსის მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა, ხოლო იმავე სუს-ის უფროსი იგორ გიორგაძე ხელმძღვანელობდა აქციის მონაწილეთა დაკავების ოპერაციას ზესტაფონთან.

განსასჯელმა ფისუნმა განაცხადა, რომ საბრალდებო დასკვნის რუსული თარგმანი თითქმის მთლიანად ხელითაა დაწერილი, თანაც რამდენიმე ადამიანის მიერ და ტექსტის გარჩევა შეუძლებელია. "ეს არ არის დოკუმენტი, ეს კროსვორდია, რომელსაც არ მიიღებს რუსეთის არც ერთი ოფიციალური უწყება. ვაცხადებ, რომ ჩემი გასამართლება ხდება ისე, რომ მე, ფაქტობრივად, არ გავცნობიერ საბრალდებო დასკვნას". დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ, რომელშიც წარმოდგენილი იყო პარლამენტსგარეთ დარჩენილ პუტჩის იდეოლოგთა და შემოქმედთა მთელი სპექტრი, უმალ აღშფოთება გამოთქვა ამის გამო: "ნუთუ ერთი მბეჭდავი არ გყავდათ?! ეს ხომ ჩვენი ქვეყნის სახეა, ეს ხომ ისტორიაში შევა! ნუთუ არ გრცხვენიათ?!"

მართლაც, რას იფიქრებენ ჩვენზე რუსეთში? და მაინც სასიხარულოა, რომ პუტჩისტურ საზოგადოებას სირცხვილის შეგრძნების უნარი შერჩა... თავისი თუ არა, პროკურატურის ნამოქმედარის გამო.

*მამუკა ტუსიშვილი*

# პოლიტიკური სასამართლო პროცესი გრძელდება

## მოწმეები და დაზარალებულები არ იცნობენ... ბრალდებულს

26 დეკემბერს, ზაურ ქობალიას საქმის სასამართლო განხილვისას დაიკითხნენ დაზარალებულები, ქ. სამტრედიის მცხოვრებნი ჯონი გვენეტაძე და პავლე გაგუა. ამ უკანასკნელის ჩვენების თანახმად, მდ. ცხენისწყალზე მიმდინარე ბრძოლების დროს მის სახლს მოხვდა აბაშის მხრიდან ნასროლი ჭურვი, რომლის ნამსხვრევიც დაეცა ბოსელს და იმსხვერპლა მისი მეუღლე.

ხონის შინაგან საქმეთა განყოფილების ინსპექტორმა, ზურაბ ჯიაძემ მოუთხრო სასამართლოს, რომ ეროვნული გვარდიის შენაერთების ხონში პირველი შემოსვლისას მილიციის შენობაში იმყოფებოდა 5 თანამშრომელი, რომელთაც, გვარდიის შენაერთის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ჩაბარეს იარაღი და გაშვებულ იქნენ. იმავე დღეს განყოფილების შემადგენლობა დაიბარეს გამგეობაში და განუცხადეს, რომ მათ არაფერს ერჩოდნენ, აგრეთვე ურჩიეს, არაფერში ჩარეულიყვნენ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირები, ისევე, როგორც მოწმეებისა და დაზარალებულების უმრავლესობა, ბრალდებულ ზაურ ქობალიას არ იცნობენ და არაფერი სმენიათ მისი მოღვაწეობის შესახებ.

### როგორ მოატყუა რომან მელიამ თბილისიც და ზუგდიდიც

იგივე განაცხადა მოწმედ დაკითხულმა ქ. ფოთის ყოფილმა მერმა, ამჟამად ნიკო ნიკოლაძის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ, რომან მელიამ, რომელსაც ჰგონებია, რომ ლოთი ქობალიას საქმესთან დაკავშირებით იყო დაბარებული. მისი თქმით, 1993 წლის 2 ოქტომბერს, დილით ადრე, ფოთის მისადგომებთან დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, რომელიც 5-6 საათს მიმდინარეობდა. 11 საათზე ლოთი ქობალიას დაქვემდებარებული შენაერთები - ზესტაფონისა და გორის ბატალიონები - შევიდნენ ფოთში. უტევდნენ ასევე აეროპორტის მხრიდან, სადაც იდგა თბილისიდან გამოგზავნილი 40 კაციანი ე.წ. მე-11-ე კორპუსი, რომლის შემადგენლობა, რ. მელიას თქმით, "ზვიადისტების მხარეს გადავიდა".

" - ქალაქი უნდა დაეცვა კობა კობალაძის შენაერთებს, რომელთან ერთადაც წინადღეს თბილისში ვიყავი. - განაგრძო მოწმემ. - მას ჰყავდა 70-80 კაცი, შავნაბადას ბატალიონის მეომრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი გაიპარნენ ისე, რომ ჩემთან არ შეთანხმებულან."

მოწმის შემდგომი ახსნა-განმარტება აშკარად თავის მართლებას ჰგავდა: "მე მყავდა მხოლოდ დაცვა, მუნიციპალური პოლიცია და ერთი ტანკი, ისიც აფხაზეთიდან გამოყვანილი - "ხატვორი". მოხსნილი ჰქონდა და მარტო სიარული შეეძლო. ის გამოვიყვანე მერიის წინ და დახმარებას ველოდი, კავშირი მქონდა სამხედრო შტაბთან.

მე-7-ე კილომეტრის გარღვევის შემდეგ ზვიადისტები და მე-11-ე კორპუსი ერთად დაიჭრა ქალაქის მერიისკენ, მაგრამ აღმაშენებლის ცენტრალურ ქუჩაზე ტანკი რომ დაინახეს, ორი კვარტალის იქით გაჩერდნენ თავიანთი ტექნიკით. ჩემთან მოსალაპარაკებლად სამი კაცი მოვიდა - ზესტაფონისა და გორის ბატალიონების მეთაურები და მე-11-ე კორპუსის წარმომადგენელი, რომელსაც მეკითხე: შენს მოვალეობას რატომ არ ასრულებ, ეს ხომ ღალატია-მეთქი. მათ მომთხოვეს მერიის ჩაბარება.

ქალაქი უკვე აღებული იყო. მე მხოლოდ ისე შემძლო გამეკეთებინა, რომ ნაკლები დანაკარგები ყოფილიყო, რადგანაც მესმოდა - ორივე მხარეს ქართველები იყვნენ. ეს არ იყო გარეშე მტერთან ბრძოლა. ერთი მთავრობა იქნებოდა საქართველოში თუ მეორე, ამისთვის სისხლი არ უნდა დაღვრილიყო. ჩვენ უნდა გადავმდგარიყავით."

მისი შემდგომი მონათხრობი ავანტიურული ტრილერის ეფექტურ ფინალს ჩამოჰგავს და ნათელს ხდის, რომ ფოთის მოხერხებული მერი, ქვეყნის ბედზე მეტად, საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავდა და ორივე მხარეს ატყუებდა.

" - ამ დროს თბილისიდან დარეკეს, - განაგრძო რ. მელიამ. - და მათი თანდასწრებით ველაპარაკე, კუთხარი - ალყაში ვართ, მაგრამ სახურავებზე გვყავს შეიარაღებული ხალხი და ვეცდებით პოზიციები შევინარჩუნოთ-თქო. ალბათ, ამან იმოქმედა მოსულებზე, თან მათ ხომ არ იცოდნენ, რომ ჩვენი ტანკი არ ისროდა. ისინი გარეთ გავიდნენ, მეც გავედი ჩემი დაცვით. გაერთ კარგი ამინდი იყო, ხალხი - ფოთელები და მათი მეომრები - ერთად იდგნენ ქუჩაში და სეირს უყურებდნენ. ვიღაც წვერიანმა გამოიწია ჩემსკენ, მაგრამ გააჩერეს. ვხედავ, მანქანაში ჩამისხდნენ იმათი ბატალიონების უფროსები, მათთან ერთად ჩემი სიძე. თურმე მას გაუგია, ასე უთქვამთ - მელია, ჯობს, ზუგდიდში წავიყვანოთო, ჩემი სიძე კი ზვიადისტი ეგონათ, რადგანაც მოლაპარაკებისას იქ იჯდა. ჩემი ავტომატი მანქანაში იდო, სიძესაც ჰქონდა იარაღი. მივედით ნავსადგურში, სადაც გემი უნდა დამხვედროდა, მაგრამ არ დამხვდა. ღია ეთერით დავუკავშირდი დისპეტჩერს, მოიყვანა "კომეტა" და მაშინ მიხვდნენ, რომ ზუგდიდში არ მივყვებოდი. ისინი უიარაღოდ იყვნენ (?! - რედ.), ჩვენ იარაღით - იძულებულნი გახდნენ გავეშვით..."

ზაურ ქობალიას შეკითხვაზე, კონკრეტულად ვის ესაუბრა იგი თბილისთან სატელეფონო კავშირის დროს, რომან მელიამ გაურკვეველი პასუხი გასცა: "არ მახსოვს, სახელმწიფოს მეთაურს თუ... მგონი, ჯაბას."

### გვარდია ხონში შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე შევიდა

8 იანვრის სხდომაზე დაკითხული იქნა ხონის სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილე, უფროსი ლეიტენანტი ზურაბ კობეშავიძე, რომელიც 1993 წლის, შემოდგომაზე ასრულებდა ადგილობრივი კომისრის მოვალეობას. ზაურ ქობალიას არც იგი იცნობდა. მისი ჩვენების თანახმად, მარტვილის მხრიდან ხონში ეროვნული გვარდიის შემოსვლა შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე მოხდა, ვინაიდან პოლიციის 15 თანამშრომლის მიერ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. თუმცა, შემდგომ დასმული შეკითხვების პასუხად კობეშავიძემ განაცხადა, რომ რაიონში იყო დაახლოებით 300 კაცამდე მეომარი, შინაგანი ჯარისა და სახალხო ლაშქრის სახით, მაგრამ წინააღმდეგობა არც მათ გაუწევიათ. მოსახლეობას ეძინა და არც გაუგია, როგორ შემოვიდნენ ქალის 4 საათზე.

იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებთან თათბირი ჩაატარეს სამტრედიის პრეფექტმა ზვიად ძიძიგურმა და ბატალიონის უფროსმა, რომელთაც განაცხადეს, რომ აღდგა კანონიერი ხელისუფლება, თქვენ არაფერს გერჩით, მაგრამ გაუგებრობების ასაცილებლად, იარაღი ჩააბარეთო. მოწმის თქმით, ყაჩაღობის ფაქტებს არგილი ჰქონდა ორივე დაპირისპირებული მხარის შემოსვლის დროს, მაგრამ კონკრეტული დამნაშავენი მისთვის უცნობია. პროკურორის შეკითხვაზე, იყვნენ თუ არა მარტვილის მხრიდან შემოსულთა შორის ჩეჩნები, მოწმემ უპასუხა, რომ ჩეჩნები არ ყოფილან; იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები - კახეთიდან, ბორჯომიდან, გურიიდან.

### მოსამართლე საყვარელიძე ემუქრება მოწმეს

10 იანვარს დაკითხული იქნა ზუგდიდის მკვიდრი თენგიზ ვეკუა, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მუშაობდა გვარდიის იურიდიული განყოფილების უფროსად და, სხვა მოწმეებისგან განსხვავებით, იცნობდა ზაურ ქობალიას, უკავშირდებოდა მას, როგორც ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარეს, როდესაც გვარდიის მიერ ხდებოდა ვინმეს დაკავება, ან პატიმრებზე ზემოქმედება. ამგვარად, ზ. ქობალიას ხელშეწყობით იქნა განთავისუფლებული ზუგდიდში დაკავებული პარლამენტარი არჩილ იოსელიანი, ფოთში დაპატიმრებული შავნაბადას ბატალიონის წევრები, აღკვეთილ იქნა იზოლატორის საკანში პატიმარ ბაქრაძეზე ფიზიკური ზემოქმედება და სხვა.

პროკურორმა ხაბაშვილმა და მოსამართლე საყვარელიძემ რიტორიკული შეკითხვებით მიმართეს მოწმეს: "რაკი ლოთი ქობალია აპატიმრებდა, ხოლო ზაურ ქობალია ათავისუფლებდა, ე. ი. ზაურ ქობალიას უფრო მაღალი თანამდებობა ეკავა? მაშ რატომ უკავშირდებოდით სწორედ მას?" პროკურორის აზრით, "საკანში რომ კაცს სცემენ, ეს ციხის ადმინისტრაციის კომპეტენციაში შედის და არა ადამიანის უფლებათა კომისიის". სამართალდაცვით სფეროში ესოდენ კომპეტენტურ პროკურორს მხარი აუბა მოსამართლემაც, რომელიც პირდაპირ შეტევაზე გადავიდა და დაემუქრა კიდეც ვეკუას: "თქვენ ყოფილი გამომძიებელი ბრძანდებით, იურისტი. თქვენ თქვით, რომ ადასტურებთ წინასწარ პატიმრობაში მიცემულ ჩვენებებს, ახლა კი გინდათ კარგი კაცი გამოჩნდეთ? ხომ არ გინდა განჩინება გამოგიტანო?" - იყვირა მოსამართლემ. ამდენად, მოწმე აშკარა ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ მოექცა.

მიუხედავად ამისა, მან მაინც დაადასტურა, რომ სოხუმის დაცემის შემდეგ ზუგდიდში მობილიზებული იყო ასეულობით მანქანა, რომლითაც რისკის ფასად ჭუბერიდან მასიურად ჩამოჰყავდათ ლტოლვილები, რაც აშკარად არ ესიამოვნა ბრალდების მხარეს.

საგულისხმოა, რომ შემდეგი მოწმის, კარლო ფიფიას დაკითხვის შემდეგ, პროკურორის მოთხოვნით, თენგიზ ვეკუა კვლავ დააბრუნეს დარბაზში და, შეიძლება ითქვას, საბაშვილმა მას გამოსძალა დამატებითი ჩვენება. ვეკუამ განაცხადა, რომ ზუგდიდში ნახა აფხაზი ბოევიკები, რის შემდეგაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა გვარდიასთან, "ჩეჩნები არ მინახავს, მაგრამ აფხაზები იყვნენ", - ამბობდა აკანკალებული მოწმე.

შესვენების დროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების (IGFM) წარმომადგენლებმა გამოთქვეს პროტესტი და განუცხადეს ,მოსამართლე ლერი საყვარელიძეს, რომ მოწმე ვეკუას დაკითხვისას, მისი დაშინების მიზნით, იგი იყენებდა ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდებს.

* * *

იმავე სხდომაზე დაკითხული იქნა კიდევ რამდენიმე მოწმე, რომელთაგან არც ერთი ასევე არ იცნობდა ბრალდებულს და არ ფლობდა მისი დანაშაულებრივი ქმედების დამადასტურებელ ფაქტს. სასამართლო ძიებისას სულ უფრო გაუგებარი ხდება, რა კავშირი აქვს ბრალდებულს მიმდინარე პროცესთან. როგორც ჩანს, პასუხი საბრალდებო დასკვნაში უნდა ვეძიოთ, სადაც ზაურ ქობალია შეთქმულების ერთ-ერთ იდეოლოგად ფიგურირებს.

*ს. გურამიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ბ-ნ ჯ. ბაბილაშვილს**
**საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ა. კავსაძეს**
**საინფორმაციო საშუალებებს**
**პოლიტპატიმარ გიორგი ყორბესაშვილის**

# განცხადება

27 ივნისს, ღამის 2 საათზე, როცა მეგობარს ვაცილებდით სახლში, საბურთალოს რ-ნის პოლიციამ დაგვაკავა მე და ჩემი მეგობრები. ჩვენ წინააღმდეგობის გაუწევლად და უსიტყვოდ გავყევით განყოფილებაში. ცემა გზაშივე დაგვიწყეს, ხოლო განყოფილებაში უფრო მეტი გულმოდგინებით განაგრძეს: მირტყამდა ყველა - ხელებით, ფეხებით, ხელკეტებით, სკამით, მარტყმევინებდნენ თავს კედელზე და სეიფზე; შიშველ ფეხისგულებზე მირტყამდნენ ხელკეტებს, მაგინებდნენ და მაფურთხებდნენ სახეში, მაიძულებდნენ, მეღიარებინა ვახუშტის ხიდის აფეთქება. ბოლოს ბოთლზე დასმა დამიპირეს და იძულებული გავხდი მარჯვენა ხელზე ვენები გადამეჭრა: ან მოვკვდებოდი, ან დავრჩებოდი და ამ ტანჯვას გადავრჩებოდი.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში ქირურგიული ჩარევა ორჯერ დამჭირდა. ჭრილობა ღრმა იყო, სისხლი ბევრი დაკარგე და ძალიან სუსტად ვიყავი. წამებისა და ცემისგან დასივებული და დალურჯებული მქონდა მთელი სხეული. პოლიციის მხრიდან მუქარა არც საავადმყოფოში წყდებოდა. 29 ივნისს, ექიმის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელიც, უკიდურეს შემთხვევაში, თანახმა იყო ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩემს გადაყვანაზე, გადამიყვანეს პოლიციის თბილისის სამმართველოს იზოლატორში, სადაც გრძელდებოდა ჩემზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება - ერთ-ერთი ცემისას ნაჭრილობევ ხელზე გამეხსნა ნაკერები და სისხლის შესაჩერებლად საჭირო გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება (ტრავმის შედეგად გამიწყდა ორთავა კუნთის მყესი და მოგვიანებით ხელის შესანარჩუნებლად რთული ორთოპედიური ოპერაციის გაკეთება დამჭირდა).

დაპატიმრების დღიდან ჩემს მიმართ ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. ჩემი მოთხოვნების მიუხედავად, არ მახვედრებდნენ ოჯახის წევრებთან დაცვის საკითხის მოსაგვარებლად და ძიება მიმდინარეობდა რეალური დაცვის გარეშე. წამებით, მუქარით, შანტაჟით მომაწერინეს ხელი ჩემდამი წაყენებულ უსაფუძვლო ბრალდებებზე - მოკლედ, "აღიარების" მისაღებად ამომწურავად იყენებდნენ მათ ხელში არსებულ მთელ არსენალს. იძულებული გავხდი 4 ივლისს პროტესტის ნიშნად დამეწყო შიმშილობა დაცვის საკითხის მოგვარების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შეწყვეტის და მკურნალობის ელემენტარული პირობების შექმნის მოთხოვნით.

7 ივლისს გადამიყვანეს შსს დროებით დაკავების იზოლატორში, სადაც 19 ივლისამდე განვაგრძობდი საპროტესტო შიმშილობას, სანამ არ აღმითქვეს ჩემი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა, რადგან უკვე ვსაჭიროებდი სტაციონარულ მკურნალობას., მეორე დღეს, 20 ივლისს საავადმყოფოს მაგივრად გადამიყვანეს თბილისის №1 საგამომძიებლო იზოლატორში და მომათავსეს ციხის ნესტიან სარდაფში აგენტ პატიმართან ერთად, სადაც კიდევ უფრო გაძლიერდა ჩემზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედება ძიების დავალებით მოქმედ აგენტ-პატიმრებისგან და მომაქციეს იმგვარ პირობებში, რომ ჩემს მიერ შეწყვეტილი შიმშილობა იძულებით გრძელდებოდა.

აგენტ-პატიმრებისგან შევიწროებულმა, 24 ივლისს გადავიჭერი მარცხენა ხელზე ვენები და ხელის გაკერვის შემდეგ ისევ იმ საკანში დამაბრუნეს, სადაც გართულებული ურთიერთობები მქონდა. 27 ივლისს, როცა ჩემი მდგომარეობა სრულიად აუტანელი შეიქნა, გამოვიჭერი კისერი. იმ დღეს ჩემი ყურით გავიგონე საკანში შემოსული მაღალი ჩინის პოლიციელის სიტყვები: "რაც გინდათ ის უქენით, ეგ აქედან ცოცხალი არ უნდა გამოვიდეს". თუ რით დავიმსახურე ასეთი გამეტება, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ მათ მართლაც სჭირდებოდათ ჩემი მოშორება, როგორც არასასურველი მოწმისა და მეც, შეურაცხმყოფელი სიკვდილისათვის თავი რომ დამეღწია, გადავწყვიტე. არტერია გადამეჭრა და თავი მომეკლა.

გამომძიებელი და ჩემი ე.წ. "დამცველი" არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ჩემი თვითმკვლელობის არაერთგზის მცდელობას და მათ გამომწვევ მიზეზებს და კვლავ განაგრძობდნენ მუქარას. აგვისტოს შუა რიცხვებიდან დღემდე აღარ დავკითხულვარ. მთელი ამ ხნის მანძილზე მე ვიყავი რეალური დაცვის გარეშე და არ მქონდა შესაძლებლობა ნამდვილი ჩვენების მიცემისა, რადგან იგი არავის აინტერესებდა და, შესაძლოა, მას კიდევ ახალი ფიზიკური ზემოქმედება მოჰყოლოდა. დღემდე ვიმყოფები უკანონო პატიმრობაში და მოვითხოვ საქმის დაუყოვნებლივ გარკვევას და ჩემს განთავისუფლებას.

*გ. ყორბესაშვილი*
*12.01.96*

# გადრი ზარანდიას მოუწოდებს

პატიმრობაში მყოფმა საქართველოს ეროვნული გვარდიის ოფიცერმა ბადრი ზარანდიამ 1995 წლის 25 დეკემბერს გაავრცელა მიმართვა საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ იარაღით მოსული ფაქტობრივი ხელისუფლება ახლო მომავალში იწყებს ახალ ფალსიფიცირებულ სასამართლო პროცესს, რათა ქართველი ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაული გადაბრალოს კანონიერ ეროვნულ გვარდიას.

"ვიცი რა, რომ ჩვენი სასამართლო პროცესიც უკვე ჩატარებული ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა პროცესების ანალოგიურად ჩატარდება, გადაწყვეტილი მაქვს ვიმოქმედო მტკიცედ და შეუპოვრად, საპროცესო კოდექსის სრული დაცვით, რათა მომავალ თაობებს დაგუტოვო დოკუმენტური მასალა 1991-92 წლებში ხუნტის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებათა შესახებ."

ბ. ზარანდია მოუწოდებს ხსენებულ ორგანიზაციებს დაესწრონ ამ სასამართლო პროცესს და ასახონ ყოველივე ობიექტურად და პირუთვნელად, რათა სიმართლე იქნეს მიტანილი ქართველ ერამდე.

ჩვენი გაზეთის რედაქციისადმი 1996 წლის 15 იანვარს მოწერილ წერილში ბ. ზარანდია გამოთქვამს პროტესტს იმის გამო, რომ მისი საქმის სასამართლო განხილვა განზრახულია განცალკევებით (სს საქმე №7495927) და მოითხოვს თანადგომას, რათა დაშვებულ იქნეს ამ საქმის მონაწილედ - " რადგან მე გახლავართ ერთ-ერთი ცოცხალი ფაქტი დღევანდელი ფაშისტური რეჟიმის მიერ ადამიანის ფიზიკურად ნახევრად განადგურებისა: ძალოვანი სტრუქტურების უხეში ჩარევით მთლიანად ამპუტირებული იქნა ავტომატური იარაღით ცემის შედეგად დაზიანებული მარცხენა ფეხი და სამუდამო ჭრილობის სახით ნაიარევი დამრჩა თავის უკანა არეში".

**საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს, ნუგზარ მოლოდინაშვილს გარდაეცვალა მამა**

**არჩილ მოლოდინაშვილი**

**"თავისუფალი საქართველოს" რედაქცია თანაუგრძნობს საპყრობილეში მყოფ დეპუტატს ამ უმძიმესი დანაკლისის გამო.**

# TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

## No1 (in brief)

23 - 29 January, 1996

### Statement of the political prisoner Giorgi Korbesashvili

On June 27 when I was seeing my friend off we were detained by the Saburtalo Police. Without any resistance or arguments we obediently followed them to the Police Department. The started beating us already on our way to the Department and after we had arrived to the place of destination the beating became even more brutal: everybody was beating me - some with their hands, others with their feet, truncheons, chairs. They were smashing my head against the walls of the room and iron safe; then they were beating me with truncheons on the bare soles of my feet. They were spitting into my face, verbally abusing me demanding from me to confess that I had exploded the Vakhushti Bridge. When finally they intended to force me to sit on the bottle I was left no alternative but to cut the veins on my right hand: dead or survived I would have at least escaped from this torture.

In Republican Hospital I was two times subjected to the surgical intervention. All my body was swollen and bruised as a result of beating and torturing. Treats from the policemen never ceased even in the hospital. On June 29 irrespective of the objections of the doctor I was transferred to the Isolator of Tbilisi Police department where I was again subjected to continuous physical and psychological pressure. During one of beatings the sutures on my hurt hand fell apart and to stop the heavy bleeding they had to call the ambulance (as a result of the trauma the tendon of my biceps was torn out and to preserve the hand I requires a complex orthopedic operation).

Since the day of my arrest my presumption of innocence is brutally violated. Irrespective of my demands I am not allowed to see my family members to arrange the problem of my defense and investigation proceeds actually without any defense. Under the tortures, threats and blackmailing they made me sign the charge brought against me without any sound grounds. To receive my "confession" they had comprehensively used all the arsenal of physical and psychological measures. I was induced to start a hunger-strike as a token of the protest, demanding to arrange the issues of my defense, ceasing physical and psychological tortures and providing me with the elementary conditions of medical treatment.

On July 7 I was transferred to the Cell of Temporary Detention of the Ministry of Internal Affairs where I was continuing my hunger-strike until July 19 when I was promised that my demands would be satisfied and I would be transferred to the Prison Republican Hospital since by that time I was requiring the hospital treatment. On the second, on July 20, instead of hospital I was transferred to Tbilisi Investigation Detention Cell #1 where I was placed in a damp cellar together with the agent-prisoner. Here I was subjected to increase physical and psychological pressure on the side of the agent-prisoner who was acting under the instruction of the investigation and eventually I found myself in the situation when my hunger-strike which I had ceased the day before was actually continued thanks to the efforts of my prisoners.

Persecution on the part of the agent-prisoners became so unbearable that I had cut the veins on my left hand and after my wound had been sutured I was again returned to the cell where I had a complicated relationship with its inhabitants. On July 27 when my position became absolutely unbearable I have cut my throat. Before I fainted I have heard the words said by the high-rank policeman who entered my cell: "Do whatever you like with him, but he should not leave this cell alive". What I have done to deserve such attitude is the issue of separate consideration, however, they really did need to get rid of me as of undesirable witness, and I decided to commit suicide by cutting my artery to escape myself from the humiliating death. The investigator and my so-called "lawyer" paid not a slightest attention to my more than one attempts of suicide and the reasons which have led me to them. Instead, they continued to threaten me. Since the mid f August I have never been interrogated. During all this period I was remaining without the actual defense and thus I had no chance to give the true testimony, since nobody was interested in it and it was quite possible that such testimony would have been followed by new physical pressure. I am remaining so far under the illegal arrest and am demanding to clarify my case and release me from the prison.

### Political Court Hearing Continues

On December 26, 1995 in the course of Court hearing of Zaur Kobalia's case the victims and witnesses were interrogated, the majority of them not knowing Zaur Kobalia and have not hearing anything about him and his activities.

The same was stated by the witness Roman Melia, the former Mayor of Poti, who as it became clear from his interrogation thought that he had been summoned in relation to the Case of Loti Kobalia. According to his testimony on October 2, 1993 early in the morning at the outskirts of Poti started war actions which continued during 5-6 hours. At 11 o'clock Zestaphoni and Gori battalions leaded by Loti Kobalia entered Poti. The attack was also made from the side of the airport where was located the so-called 11th Corpus sent from Tbilisi. It counted 40 warriors, who according to R. Melia took the side of "Zviadists".

After the breaking of defense on the 7th km the Zviadists together with 11th Corpus started to move in direction of the Mayor's Office. Three men came to me for negotiations. The city has already been occupied. The only thing I could do was arrange the things in a way which would lead to minimal losses, since I was well aware that on the both sides were fighting Georgians. Whatever Government would be in Georgia there should not have been bloodshed. We had to resign".

At the Court Session of January 8, 1996, the deputy Head of the Khoni Military Police, second lieutenant Zurab Kobeshavidze was interrogated. In the fall of 1993 he was executing the duties of the local Commissar. Neither he knew Zaur Kobalia. According to his testimony, entering of the National Guards to Khoni proceeded without the armed confrontation, since there was no sense for only 15 policemen to show any resistance to the Guards.

On January 10 was interrogated the resident of Zugdidi Tengiz Vekua, who within the three month period was working as the head of the Juridical Department of the National Guards and unlike the other witnesses he did know Zaur Kobalia , got in touch with him as a Chairman of the Human Rights Commission whenever the National Guards arrested anybody. Thus, with the assistance of Zaur Kobalia the member of Parliament Archil Ioseliani who had been detained in Zugdidi has been released, as well as the members of Shavnabada battalion arrested in Poti. It was due to his interference that the physical abuse of the prisoner Bakradze who was in the detention cell was put to end, etc.

The Prosecutor attacked the witness and was eagerly supported by the Judge who even threatened Vekua: "You are a former investigator, the lawyer. You have said that you confirm the testimonies given during the preliminary investigation, and now you are changing them. You want to look a nice man don't you? May be you would like me to bring in a verdict to you?" shouted the Judge. Thus the witness was placed under the obvious psychological pressure.

It is noteworthy, that after the interrogation of the next witness Avto Pipia, Tengiz Vekua was again returned to the Court Hall under the demand of the Prosecutor and it can be claimed that Khabashvili had literally forced the additional testimony from him. Vekua stated that in Zugdidi he saw Abkhaz boeviks, after which he had terminated all his connections with the National Guards; "I have not seen any Chechens though Abkhazians were" was saying the trembling witness. During the break the representatives of the International Human Rights Society IGFM expressed their protest and told to the Judge Leri Sakvarelidze that in the process of interrogation of the witness Vekua he had used the methods of psychological pressure to frighten the witness.

At the same Session were interrogated several other witnesses none of whom knew the defendant and had any facts confirming his criminal actions. In the course of Court investigation the relation of the defendant to the ongoing Court Hearing becomes more and more obscure. The answer should seemingly be sought in the indictment where Zaur Kobalia is presented as one of the ideologists of the conspiracy.

S. Guramishvili

### Security Service First Provides Mr. Kitovani with Carte Blanch and Then Arrests Him

At the end of December the Court of Tbilisi Didube District in the building of the Municipal Court started the Court hearing of the case of the leaders of the so-called National Liberation Front Tengiz Kitobani and Irakli Surguladze as the citizen of Russia Valery Physun. The head of the Court Colleague is the Judge Soso Khurtsidze, the Prosecutor - is Kakha Koberidze, who is well known to the society from the Court Hearing of the case of the explosion in Chikovani Street. As it is known the above defendants are charged with the accusation of establishing illegal formation and illegal wearing of arms. Judging from the joint statement read by Irakli Surguladze at the Session of January 18, the defendant do not consider themselves as the opposition of the existing authorities. On the contrary, the consider their actions not only quite legal but also in tune with the political course of the authorities and interests of territorial integrity of Georgia. In their statement they made Igor Giorgadze fully responsible for their arrest and law violations made in relation to them. They claim that Igor Giorgadze had planned to declare the action started by the National Liberation Front illegal well before it took place. According to the leaders of the Front to this testify the fact that the day before the action was started they were given Carte Blanche by the deputy Ministers of the Ministry of Internal Affairs Jimmi Mikeladze and Demur Mikadze as well as the deputy Head of the KGB Avtandil Ioseliani, the head of the KGB Igor Giorgadze heading the operation of their arrest in the vicinities of Zestaphoni. The defendant Physun stated, that the Russian translation of his indictment was given him in handwriting to which add the fact that it was written by several different people and was almost illegible : "It is not a document, it is Crossword which none of the official bodies of Russia would receive. I am declaring that my trial is made without my getting familiar with the indictment".

Mamuka Tusishvili

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia